

შპს ომეგა

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. შემოსავალი	17
6. კომერციული ხარჯები.....	17
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	17
8. ფინანსური ხარჯი.....	17
9. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	17
10. იჯარები	18
11. მარაგები.....	18
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	20
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	20

მმართველობის ანგარიშგება.....

1. ზოგადი ინფორმაცია	25
2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები.....	26
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	27
4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა.....	28
5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ომეგას ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ომეგას (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლური ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგება და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ექატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს „ბიდიო აუდიტის“, სახელით

თბილისი, საქართველო

21 აგვისტო, 2025 წელი

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ეკატერინე კოპალიანი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-932874)

შპს “ბიდიო აუდიტის”, სახელით

თბილისი, საქართველო

21 აგვისტო, 2025 წელი

შპს ომეგა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	124,969,629	114,383,783
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(99,476,707)	(93,699,465)
საერთო მოგება		25,492,922	20,684,318
კომერციული ხარჯები	6	(9,107,887)	(8,096,748)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,053,527)	(1,551,637)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		-	(8,490)
სხვა (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(1,133,739)	715,026
საოპერაციო მოგება		13,197,769	11,742,469
ფინანსური შემოსავალი		463,666	516,387
ფინანსური ხარჯი	8	(755,278)	(486,461)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	9	(870,058)	(215,223)
მოგება დაბეგვრამდე		12,036,099	11,557,172
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,125,000)	(785,463)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,911,099	10,771,709

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი

ს. აბულაძე

შპს ომეგა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	124,969,629	114,383,783
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(99,476,707)	(93,699,465)
საერთო მოგება		25,492,922	20,684,318
კომერციული ხარჯები	6	(9,107,887)	(8,096,748)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,053,527)	(1,551,637)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		-	(8,490)
სხვა (ხარჯი)/შემოსავალი, წმინდა		(1,133,739)	715,026
საოპერაციო მოგება		13,197,769	11,742,469
ფინანსური შემოსავალი		463,666	516,387
ფინანსური ხარჯი	8	(755,278)	(486,461)
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	9	(870,058)	(215,223)
მოგება დაბეგვრამდე		12,036,099	11,557,172
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,125,000)	(785,463)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,911,099	10,771,709


ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი



ს. აბულაძე

შპს ომეგა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	10	8,959,496	7,100,896
ძირითადი საშუალებები		415,008	328,479
არამატერიალური აქტივები		5,905	5,905
		9,380,409	7,435,280
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	40,029,224	32,281,825
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	13,071,661	7,671,764
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	13,510,338	21,843,808
		66,611,223	61,797,397
სულ აქტივები		75,991,632	69,232,677
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		1,398	1,398
გაუნაწილებელი მოგება		60,420,936	55,884,837
		60,422,334	55,886,235
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	5,858,628	4,210,850
		5,858,628	4,210,850
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	3,494,315	2,739,197
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	6,216,355	6,396,395
		9,710,670	9,135,592
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		75,991,632	69,232,677

10-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2022	1,398	50,213,128	50,214,526
გაცემული დივიდენდი	-	(5,100,000)	(5,100,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,771,709	10,771,709
31 დეკემბერი 2023	1,398	55,884,837	55,886,235
გაცემული დივიდენდი	-	(6,375,000)	(6,375,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,911,099	10,911,099
31 დეკემბერი 2024	1,398	60,420,936	60,422,334

შპს ომეგა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		12,036,100	11,557,172
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	3,541,845	3,067,437
მარაგების გაუფასურება		1,819,333	175,599
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		-	8,490
საპროცენტო შემოსავალი		(463,666)	(516,387)
საპროცენტო ხარჯი	8	755,278	486,461
წმინდა ზარალი საკუროს სხვაობიდან	9	870,058	215,223
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში		18,558,948	14,993,995
ცვლილებამდე			
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების ზრდა		(9,708,259)	(4,291,363)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(5,397,813)	(2,382,826)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(279,329)	3,581,329
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,173,547	11,901,135
გადახდილი პროცენტები	8	(755,278)	(486,461)
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,125,000)	(785,463)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,293,269	10,629,211
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(69,313)	(13,465)
სესხის გაცემა		(245,812)	-
ფინანსური იჯაროდან მიღებული ფულადი სახსრები		-	98,556
მიღებული პროცენტი		463,666	516,387
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		148,541	601,478
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა		(1,496,288)	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	10	(3,153,554)	(2,596,719)
სესხების მიღება		1,480,880	-
გადახდილი დივიდენდი		(6,375,000)	(5,100,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(9,543,962)	(7,696,719)
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(8,102,152)	3,533,970
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	21,843,808	18,496,252
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	9	(231,318)	(186,414)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	13,510,338	21,843,808

10-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ომეგა" (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1996 წლის 31 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 211334830. კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი №11, თბილისი, საქართველო. კომპანია ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით. კომპანიის ღირებულება ნიშნავს.

კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	%
გრიგორი გუდავაძე	50
თამარა გაბრიელაშვილი	40
ნინო გაბუნია	10

2. მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მოლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანია რჩება მომგებიანი და აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება). შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება). შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში). შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს სრულ ფასს შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

კომპანიის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობა სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანია აჯგუფებს ერთი და იმავე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენისა და კონტროლის მიზნით. კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია თავის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებით. კომპანიის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,001,331	2,187,798
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,510,338	21,843,808
	16,511,669	24,031,606
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,897,139	5,702,286
საიჯარო ვალდებულებები	9,352,943	6,950,047
	15,250,082	12,652,333

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, იმ ბაზრის მიხედვით, რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენება. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

ფული და ფულის ეკვივალენტები

31.12.2024

3,001,331

-

13,391,578

16,392,909

31.12.2023

2,187,798

-

20,850,427

23,038,225

31.12.2024

2,471,518

529,813

3,001,331

31.12.2023

1,953,279

234,519

2,187,798

მოთხოვნები, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული

ვადაგადაცილებული მოთხოვნები

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ საკონტრაქტო ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

1 წლამდე

1-დან 5
წლამდე

5 წლის
ზემოთ

31.12.2024

13,391,578

-

-

13,391,578

3,001,331

-

-

3,001,331

16,392,909

-

-

16,392,909

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები

5,897,139

-

-

5,897,139

3,494,315

3,840,872

2,017,756

9,352,943

9,391,454

3,840,872

2,017,756

15,250,082

1 წლამდე

1-დან 5
წლამდე

5 წლის
ზემოთ

31.12.2023

20,850,427

-

-

20,850,427

2,187,798

-

-

2,187,798

23,038,225

-

-

23,038,225

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები

5,702,286

-

-

5,702,286

2,739,197

4,210,850

-

6,950,047

8,441,483

4,210,850

-

12,652,333

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

	ლარი	დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	რუბლი	31.12.2024
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,170,127	2,273,848	60,273	35	6,055	13,510,338
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,001,331	-	-	-	-	3,001,331
	14,171,458	2,273,848	60,273	35	6,055	16,511,669
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,533,976	4,361,895	1,268	-	-	5,897,139
საიჯარო ვალდებულებები	158,120	9,194,823	-	-	-	9,352,943
	1,692,096	13,556,718	1,268	-	-	15,250,082
ღია სავალუტო პოზიცია	12,479,362	(11,282,870)	59,005	35	6,055	

	ლარი	დოლარი	ევრო	ჩინური იუანი	რუბლი	31.12.2023
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,335,846	5,131,300	165,993	1,210,669	-	21,843,808
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,187,798	-	-	-	-	2,187,798
	17,523,644	5,131,300	165,993	1,210,669		24,031,606
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,927,027	3,764,828	10,431	-	-	5,702,286
საიჯარო ვალდებულებები	237,092	6,712,955	-	-	-	6,950,047
	2,164,119	10,477,783	10,431	-	-	12,652,333
ღია სავალუტო პოზიცია	15,359,525	(5,346,483)	155,562	1,210,669		

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებით 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2024	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი		ჩინური იუანის ეფექტი		რუბლის ეფექტი	
	ლარი/ დოლარი	ლარი/ დოლარი	ლარი/ ევრო	ლარი/ ევრო	ლარი/ იუანი	ლარი/ იუანი	ლარი/ რუბლი	ლარი/ რუბლი
მოგება/(ზარალი)	(2,256,574)	2,256,574	11,801	(11,801)	7	(7)	1,211	(1,211)
2023	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი		ჩინური იუანის ეფექტი		რუბლის ეფექტი	
	ლარი/ დოლარი	ლარი/ დოლარი	ლარი/ ევრო	ლარი/ ევრო	ლარი/ იუანი	ლარი/ იუანი	ლარი/ რუბლი	ლარი/ რუბლი
მოგება/(ზარალი)	(1,069,297)	1,069,297	31,112	(31,112)			242,134	(242,134)

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

5. შემოსავალი

	2024	2023
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	88,675,970	79,971,256
აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა	34,966,133	32,958,538
სხვა	1,327,526	1,453,989
	124,969,629	114,383,783

6. კომერციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(4,007,319)	(3,402,171)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(3,335,934)	(2,883,846)
რეკლამის ხარჯი	(516,928)	(285,393)
იჯარის ხარჯი	(454,837)	(779,996)
კომუნალური ხარჯი	(195,477)	(189,199)
საწვავის ხარჯი	(130,018)	(128,421)
ცვეთა და ამორტიზაცია	(96,389)	(90,711)
სხვა ხარჯი	(370,985)	(337,011)
	(9,107,887)	(8,096,748)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,277,779)	(1,125,682)
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა	(395,193)	(175,599)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(81,597)	(87,871)
საკონსულტაციო ხარჯი	(70,924)	(48,665)
ცვეთა და ამორტიზაცია	(27,925)	(5,009)
მივლინება	(18,997)	(18,317)
საკანცელარიო ხარჯი	(14,058)	(11,645)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(10,038)	(5,887)
სხვა ხარჯი	(157,016)	(72,962)
	(2,053,527)	(1,551,637)

8. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(754,161)	(486,461)
სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(1,117)	-
	(755,278)	(486,461)

9. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(638,740)	(28,809)
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(231,318)	(186,414)
	(870,058)	(215,223)

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. იჯარები

კომპანია ქირაობს შენობებსა და სასაწყობე ფართებს მაღაზიის განსათავსებლად და მარაგების დასაწყობებისთვის. კომპანიას აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა კომპანიებთან და ფიზიკურ პირებთან. კომპანიის 31 შენობა-ნაგებობის იჯარიდან 3 იჯარა განსაზღვრულია ლარში, ხოლო 28 - დოლარში. კომპანიის არსებული იჯარებიდან 30 არის ფიქსირებული, იჯარის ვადის განმავლობაში, ხოლო ერთი იჯარა ითვალისწინებს აშშ-ს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (US CPI) დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს.

აქტივების გამოყენების უფლება:

31 დეკემბერი 2023

შემოსვლა

ამორტიზაცია

საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი

31 დეკემბერი 2024

შენობა-ნაგებობა

7,100,896

3,831,890

(3,417,531)

1,444,241

8,959,496

სულ

7,100,896

3,831,890

(3,417,531)

1,444,241

8,959,496

აქტივების გამოყენების უფლება:

31 დეკემბერი 2022

შემოსვლა

ამორტიზაცია

საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი

31 დეკემბერი 2023

შენობა-ნაგებობა

6,363,027

3,431,425

(2,971,717)

278,161

7,100,896

სულ

6,363,027

3,431,425

(2,971,717)

278,161

7,100,896

საიჯარო ვალდებულება:

31 დეკემბერი 2023

შემოსვლა

საპროცენტო ხარჯი

საიჯარო ვალდებულების დაფარვა

პროცენტის გადახდა

საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი

კურსთაშორისი სხვაობა

31 დეკემბერი 2024

შენობა-ნაგებობა

6,950,047

3,831,890

754,161

(3,153,554)

(754,161)

1,384,696

339,864

9,352,943

სულ

6,950,047

3,831,890

754,161

(3,153,554)

(754,161)

1,384,696

339,864

9,352,943

საიჯარო ვალდებულება:

31 დეკემბერი 2022

შემოსვლა

საპროცენტო ხარჯი

საიჯარო ვალდებულების დაფარვა

პროცენტის გადახდა

საიჯარო ხელშეკრულების ცვლილების ეფექტი

კურსთაშორისი სხვაობა

31 დეკემბერი 2023

შენობა-ნაგებობა

6,040,953

3,431,425

486,461

(2,596,719)

(486,461)

96,322

(21,934)

6,950,047

სულ

6,040,953

3,431,425

486,461

(2,596,719)

(486,461)

96,322

(21,934)

6,950,047

11. მარაგები

საყოფაცხოვრებო ტექნიკა

აუდიო-ვიდეო და ციფრული ტექნიკა

სხვა

31.12.2024

29,886,409

9,718,569

424,246

40,029,224

31.12.2023

19,754,328

12,227,154

300,343

32,281,825

შპს ომეგა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,001,331	2,187,798
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	10,143,479	5,557,115
ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი		
საექვო ვალების რეზერვი	(73,149)	(73,149)
	13,071,661	7,671,764

მოთხოვნის ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2024	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1.00%	6.00%	10.00%	33.38%	55.63%	100.00%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	2,471,518	386,106	115,539	14,227	367	13,574	3,001,331
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(24,715)	(18,354)	(11,554)	(4,748)	(204)	(13,574)	(73,149)
31.12.2023	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1.00%	6.00%	10.00%	33.38%	55.63%	100.00%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	1,953,279	149,234	38,465	3,050	9,482	34,288	2,187,798
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(19,769)	(8,954)	(3,846)	(1,018)	(5,274)	(34,288)	(73,149)

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი:

1 იანვრის მდგომარეობით

პერიოდის ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე

31 დეკემბრის მდგომარეობით

2024	2023
(73,149)	(64,659)
-	(8,490)
(73,149)	(73,149)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	11,051,367	14,342,465
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,340,211	6,507,962
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	118,760	993,381
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	-	-
	13,510,338	21,843,808

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	4,954,163	4,830,166
სხვა	942,976	872,120
	5,897,139	5,702,286
არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	319,216	694,109
	319,216	694,109
	6,216,355	6,396,395

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

15. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

მომავალი დივიდენდით განპირობებული მოსალოდნელი მოგების გადასახადი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9,540,148 ლარს.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:		
მოკლევადიანი გასამრჯელო	(150,025)	(150,425)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის იანვარში კომპანიამ გამოაცხადა ჯამურად 5,100,000 ლარის დივიდენდი.

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა აქტივი დაკლასიფიცირებულია როგორც “ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი”. ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. კომპანია ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

იჯარა

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის დარიცხვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ხოლო აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოკლებით. აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, რის შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთსაფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და მოწყობილობების მიწოდება მონტაჟით ან მონტაჟის გარეშე.

საქონლის რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის, ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდებას თან ახლავს მონტაჟის მომსახურება, გარიგების მთლიანი ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას საურავებისა და ჯარიმების სახით.

კომპანიას არ აქვს გაფორმებული არცერთი ისეთი კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურებიდან მიღებული ანაზღაურების დრო ერთ წელს აღემატება. შესაბამისად, კომპანია საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება: კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ყოველი რეალიზაციისას დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაზე ანაწილებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანია გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს 2-დან 10 წლამდე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება “ფიფო”(პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში) მეთოდით.

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მმართველობის ანგარიშგება

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ომეგა (შემდგომში კომპანია) ბაზარზე წარმოდგენილია მეგატექნიკის მაღაზიითა ქსელის სახით, რომელიც 28 წელია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოში საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. კომპანიის პირველი მაღაზია 1996 წელს გაიხსნა თბილისში. მას შემდეგ ორგანიზაცია სტაბილურად ვითარდებოდა, იზრდებოდა და დღესდღეობით 240-მდე თანამშრომელს ასაქმებს.

კომპანია დაკავებულია საცალო და საბითუმო ვაჭრობით. მეგატექნიკა ყიდის საყოფაცხოვრებო და კომპიუტერულ ტექნიკას. კომპანია ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს პროდუქტის დიდი არჩევანი სხვადასხვა საფასო სეგმენტში, რაც ზრდის კომპანიის შემოსავლიანობას. კომპანიის მთავარი მიზანია - იყოს სანდო პარტნიორი და მიაწოდოს მომხმარებელს ხარისხიანი პროდუქცია და ხარისხიანი მომსახურება.

კომპანიის საცალო ქსელი მოიცავს 11 მაღაზიას თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში და ბათუმში. ასევე კომპანიას აქვს 3 საწყობი სტრატეგიულ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

კომპანია ახდენს ისეთი მსოფლიო ბრენდების ტექნიკის რეალიზაციას, როგორიცაა Samsung, Hisense, Toshiba, LG, Panasonic, Philips, Electrolux, Simfer, DeLonghi, Rivacase Lenovo, Asus, Huawei, HP და სხვა.

კომპანია ბოლო წლების მანძილზე სტაბილურად იზრდება, რაც ხელმძღვანელობის სწორი სტრატეგიული და ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგია. კომპანია ფინანსდება საკუთარი და მოზიდული დაფინანსების წყაროებით. აქვს შეუზღუდავი საკრედიტო ისტორია.

კომპანია მართავს ვებ გვერდს www.megatechnica.ge. ვებ-გვერდზე სრულად არის წარმოდგენილი ყველა პროდუქტი ფასებით და მომხმარებელს აქვს საშუალება ბარათით და ონლაინ კრედიტით შეიძინოს ნივთი. ასევე მეგატექნიკა არის პიონერი ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენებაში და მხოლოდ მეგატექნიკის ვებ-გვერდის საშუალებით შესაძლებელია კრიპტოვალუტით საქონლის შეძენა. მომავალში კომპანიას დაგეგმილი აქვს გაყვეს თანამედროვე ტრენდს ელექტრონული ვაჭრობის განვითარების მიმართულებით და მომხმარებელს შესთავაზოს როგორც დამატებითი ყიდვის საშუალებები, ასევე უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია.

კომპანიას დასაქმებული ჰყავს 240 ადამიანი. წარმატებით ხერხდება ადგილობრივ შრომით ბაზარზე საუკეთესო პროფესიონალების მოძიება და მოზიდვა. კომპანიის განვითარება და წინსვლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომუშავე პირების კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე.

კომპანიის ინტერესებში შედის დასაქმებულთა გადამზადება, წახალისება და მოტივაციის ამაღლება, რაც პირდაპირ აისახება კომპანიის საქმიანობაზე. კომპანია ასევე ცდილობს შეინარჩუნოს პროფესიონალი ადმინისტრაციული თანამშრომლები და მოიზიდოს საჭირო გამოცდილების მქონე კადრები, რათა თავიდან აიცილოს ის უარყოფითი შედეგები, რაც კვალიფიციური კადრების გადინებას მოჰყვება.

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი, რომლის ათვისება/დაფარვაც პროდუქტების სეზონურობაზეა დამოკიდებული. კომპანიას ისტორიულად ლიკვიდურობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი აქვს და მომავალშიც ეცდება რომ ამ მიმართულებით საფრთხეები თავიდან იყოს აცილებული. ეს მიიღწევა სწორი ფინანსური და ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ასევე სწორი დაგეგმვისა და პროგნოზების კეთებით.

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას.

წმინდა მოგება (მილიონი ლარი)

2024	10,91
2023	10,77

საოპერაციო შემოსავალი

2024	125,0
2023	114,4

უკუგება საშუალო კაპიტალზე

2024	19%
2023	20%

უკუგება საშუალო აქტივებზე

2024	15%
2023	17%

მთლიანი აქტივები (მილიონი ლარი)


2024	75,99
2023	69,23

ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა

2024	89,3%
2023	89,8%

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი დღეებში

2024	147
2023	126



ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები, 2023 წელთან შედარებით გაზრდილია, გაზრდილია ასევე წმინდა მოგება.

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE): მეწილეების 2024 და 2023 წლების კუთვნილი მოგება შეფარდებული კაპიტალის 2023-2024 წლების და 2022-2023 წლების საშუალო მაჩვენებლებზე. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს რამდენი მოგება მოაქვს ერთ ერთეულ კაპიტალს წლის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წელს შემცირებულია 2023 წლის მონაცემთან შედარებით 20%-იდან 19%-მდე, რაც გამოწვეულია კაპიტალის ზრდით.

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA): 2023-2024 წლების წმინდა მოგება შეფარდებული 2023-2024 და 2022-2023 წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებლებზე. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის აქტივს წლის განმავლობაში. 2024 წლის უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე შემცირებულია 2023 წლის ამავე მონაცემთან შედარებით 17%-იდან 15%-მდე, რაც გამოწვეულია აქტივების ზრდით.

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: მარაგების ნაშთი წლის ბოლოს გაყოფილი წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365 დღეზე. აღნიშნული ინდიკატორი 2023 წელს შეადგენდა 126, ხოლო 2024 წელს 147, რაც განსაზღვრავს თუ რამდენი დღე სჭირდება კომპანიას საშუალოდ არსებული მარაგების რეალიზაციისათვის. ეს რიცხვი გაზრდილია, რადგან სეზონური პროდუქტის მომარაგება გაიზარდა.

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე. ეს ინდიკატორი გვიჩვენებს რამდენად შესწევს კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის უნარი. აღნიშნული კოეფიციენტი მცირედით გაზრდილია 2023 წელთან შედარებით, ხოლო შემცირებული 2022 წლის მონაცემთან შედარებით. კოეფიციენტი 2022, 2023 და 2024 წლებში შეადგენდა შესაბამისად 10,52, 6,76 და 6,86-ს.

ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა: პერიოდის მთლიანი საოპერაციო ხარჯები შეფარდებული იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან. აღნიშნული კოეფიციენტი 2023 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირებულია.

2024 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ხარჯით ნაწილში, ყველაზე დიდი ხარჯი სახელფასო ხარჯია და შემდეგ იჯარის ხარჯი. ფაქტობრივად, ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯებით ნაწილის 78%-ს იჯარა და ხელფასები შეადგენს. მომავალში ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან საცალო ბიზნესისთვის იჯარა და ხელფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

3.1 რისკის აღწერა

კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ეკონომიკურ გარემოზე. ეკონომიკური მერყეობა, ინფლაცია, ეროვნული ვალუტის კურსის რყევები და მომხმარებელთა სესხის ხელმისაწვდომობა პირდაპირ გავლენას ახდენს საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოთხოვნაზე. ასევე, ბაზარზე მაღალი კონკურენცია ზეწოლას ახდენს ფასებსა და მოგების მარჟებზე.

რისკის განეიტრალება

აღნიშნული რისკების მინიმიზაციის მიზნით, კომპანია მიმართავს დივერსიფიცირებულ სტრატეგიას – მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციის ფართო არჩევანს სხვადასხვა საფასო სეგმენტში, აძლიერებს ონლაინ გაყიდვების არხებს და ინარჩუნებს პარტნიორობას წამყვან საერთაშორისო ბრენდებთან. ოპერაციული რისკების მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობას, რის უზრუნველსაყოფადაც კომპანიას აქვს სტრატეგიულ ქალაქებში განთავსებული საწყობები (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი). პარალელურად, კომპანიის მთავარი პრიორიტეტია კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, რისთვისაც ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადებისა და მოტივაციის პროგრამები.

ფასების ცვალებადობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. სავალუტო ბაზრის არასტაბილურობისა და კურსის რყევების გამო, იმპორტირებული საქონლის მომსახურების ფასებზე ცვლილება გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე, შესაბამისად, მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობაზე. საბოლოო შედეგი აისახება კომპანიის გაყიდვებსა და შესაბამისად, ფინანსურ მდგომარეობაზე.

3.2 ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

„მეგატექნიკა“ 29-წლიანი გამოცდილებით ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და დინამიურად მზარდი კომპანიაა საქართველოს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტებია:

- ელექტრონული კომერციის მიმართულებით პოზიციების გაძლიერება – ონლაინ პლატფორმის განვითარება, დამატებითი გადახდის საშუალებების ინტეგრაცია და მომხმარებლისთვის უფრო ყოვლისმომცველი სერვისის შეთავაზება;
- ბაზარზე გეოგრაფიული გაფართოება – საცალო ქსელის ზრდა საქართველოს რეგიონებში, სადაც ტექნიკის ბაზარი ჯერ კიდევ განვითარებადია;
- პროდუქტების ასორტიმენტის დივერსიფიკაცია როგორც ეკონომ, ისე პრემიუმ სეგმენტში;
- ადამიანური რესურსების განვითარება და პროფესიონალიზმის შენარჩუნება, რაც კომპანიის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს.

კომპანია ასევე განაგრძობს ინოვაციური მიდგომების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ „მეგატექნიკა“ პირველი საცალო ქსელია საქართველოში, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას პროდუქციის შეძენა კრიპტოვალუტით განახორციელოს. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს კომპანიის სწრაფ ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებთან და კიდევ უფრო აძლიერებს მის პოზიციას ბაზარზე.

კომპანია ინარჩუნებს სტაბილურ ზრდას, აუმჯობესებს აქტივების გამოყენების ეფექტიანობას და ახორციელებს მიზნობრივ ინვესტიციებს როგორც ადამიანურ კაპიტალში, ისე ტექნოლოგიურ განვითარებაში. მიუხედავად გარე ეკონომიკური გამოწვევებისა, „მეგატექნიკა“ აგრძელებს მომხმარებლისთვის სანდო პარტნიორის როლის შესრულებას და მიზნად ისახავს პოზიციების შემდგომ გამყარებას როგორც საცალო, ისე ონლაინ ვაჭრობის მიმართულებით.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი

ს. აბულაძე

შპს ომეგა

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

„მეგატექნიკა“ 29-წლიანი გამოცდილებით ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და დინამიურად მზარდი კომპანიაა საქართველოს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტებია:

- ელექტრონული კომერციის მიმართულებით პოზიციების გაძლიერება – ონლაინ პლატფორმის განვითარება, დამატებითი გადახდის საშუალებების ინტეგრაცია და მომხმარებლისთვის უფრო ყოვლისმომცველი სერვისის შეთავაზება;
- ბაზარზე გეოგრაფიული გაფართოება – საცალო ქსელის ზრდა საქართველოს რეგიონებში, სადაც ტექნიკის ბაზარი ჯერ კიდევ განვითარებადია;
- პროდუქტების ასორტიმენტის დივერსიფიკაცია როგორც ეკონომ, ისე პრემიუმ სეგმენტში;
- ადამიანური რესურსების განვითარება და პროფესიონალიზმის შენარჩუნება, რაც კომპანიის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს.

კომპანია ასევე განაგრძობს ინოვაციური მიდგომების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ „მეგატექნიკა“ პირველი საცალო ქსელია საქართველოში, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას პროდუქციის შეძენა კრიპტოვალუტით განახორციელოს. ეს ინიციატივა ხაზს უსვამს კომპანიის სწრაფ ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებთან და კიდევ უფრო აძლიერებს მის პოზიციას ბაზარზე.


კომპანია ინარჩუნებს სტაბილურ ზრდას, აუმჯობესებს აქტივების გამოყენების ეფექტიანობას და ახორციელებს მიზნობრივ ინვესტიციებს როგორც ადამიანურ კაპიტალში, ისე ტექნოლოგიურ განვითარებაში. მიუხედავად გარე ეკონომიკური გამოწვევებისა, „მეგატექნიკა“ აგრძელებს მომხმარებლისთვის სანდო პარტნიორის როლის შესრულებას და მიზნად ისახავს პოზიციების შემდგომ გამყარებას როგორც საცალო, ისე ონლაინ ვაჭრობის მიმართულებით.

5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.


მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი



ს. აბულაძე